ძირითადი საკითხები
2022 წლის საერთაშორისო ჩინურ ენოვანი კონფერენციისათვის

ქრისტეს, როგორც მადლის სულის მიღება ჩვენს სულში ხდება მუდმივად, მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში; დღითი დღე უნდა ხდებოდეს საოცარი ღვთაებრივი გადმოცემა, როდესაც სამერთიანი ღმერთი გვამარაგებს მადლის სულით უხვად, და ჩვენ ვღებულობთ მადლის სულს გამუდმებით.

ახალი აღთქმის მორწმუნეების ცხოვრება
ღმერთის მადლის ქვეშ ღმერთის სახლმშენებლობაში – გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთის როგორც მადლის განცდის სრული ცხოვრება – დასრულდება ეკლესიაში როგორც ქრისტეს ორგანულ სხეულში.

მადლი არის ქრისტე, როგორც ჩვენი საზრუნავის მატარებელი და მრავლდება ჩვენთვის ჩვენი ტანჯვების, შეზღუდვებისა და სისუსტეების მეშვეობით; რაც უფრო მეტი საზრუნავი გვავს ჩვენ, უფრო მეტი შესაძლებლობა გვაქვს, რომ განვიცადოთ ქრისტე როგორც მადლი.

დასრულებული და საბოლოო პროდუქტი ღმერთის მადლისა
მის სახლმშენებლობაში არის ქრისტეს სხეული როგორც ღმერთის პოემა,
რომელიც ხდება ახალი იერუსალიმი, როგორც დასრულება
ღმერთის სამართლიანობისა ახალ ცასა და ახალ მიწაზე;
ღმერთის სიმდიდრეები, განკუთვნილი ჩვენი ტკბობისათვის,
აღემატება ყოველგვარ შეზღუდვას და იქნება ღიად გამოვლენილი მარადიულად.

© Living Stream Ministry, 2022

შეტყობინებების გეგმები
საერთაშორისო ჩინურენოვანი კონფერენციისათვის
თებერვალი 18-20, 2022

ძირითადი თემა:

ღმერთის მადლი ღმერთის სახლმშენებლობაში

შეტყობინება პირველი

გრანდიოზული მნიშვნელობა ღმერთის მადლისა, გახსნილი ახალ აღთქმაში

ადგილები წერილიდან: იოანე 1:14, 16-17; ებრ 10:29; 1 პეტ. 5:10; ეფეს 1:5-6; 2:7-8; გამოცხ. 22:21

I. ღმერთის მადლი – არის რაღაც, რასაც აქვს გრანდიოზული მნიშვნელობა – იოანე 1:14, 16-17; ეფეს. 2:7; გამოცხ. 22:21:

ა. მადლი არის უდიდესი ჭეშმარიტება და უმაღლესი გამოცხადება ღმერთის ახალ აღთქმისეულ სახლმშენებლობაში – იოანე 1:14, 16-17; ებრ. 10:29; 1 კორ. 15:10; ფილიპ. 4:23; გამოცხ. 22:21.

ბ. თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ, რა არის ღმერთის მადლი, გახსნილი ახალ აღთქმაში, ჩვენ გვჭირდება ნათელი ხედვა ახალი აღთქმისა მთლიანობაში.

II. ახალი აღთქმის თანახმად, მადლი – სინამდვილეში არის ის, რასაც წარმოადგენს ჩვენთვის ღმერთი ჩვენი ტკბობისათვის – იოანე 1:16-17; 2 კორ. 12:9:

ა. მადლი არის ღმერთი არა დოქტრინაში, არამედ ჩვენს განცდაში, რადგან მადლი არის ღმერთი ქრისტეში ყველაფრით, რასაც ის წარმოადგენს, ჩვენი ტკბობისათვის; ეს მოიცავს თავის თავში სიცოცხლეს, სიმაგრეს, დამშვიდებას, სიმშვიდეს, სინათლეს, სამართიანობას, სიწმიდეს, ძალას და სხვა ღვთაებრივ თვისებას.

ბ. მადლი არის ძირითადად არა სამუშაო, რომელსაც ღმერთი აკეთებს ჩვენთვის; მადლი არის თვითონ სამერთიანი ღმერთი, რომელიც არიგებს თავის თავს ჩვენს არსებაში და რომელსაც ჩვენ განვიცდით ჩვენი ტკბობისათვის – 13:14.

გ. ახალი აღთქმა – არის ისტორია ღმერთის მადლისა როგორც სამერთიანი ღმერთის განკაცებისა მის ღვთაებრივ სამებაში; რომელიც იყო მომზადებული და დასრულებული და ახლა მოძრაობს და ცხოვრობს მორწმუნეებში და მათ შორის – იოანე 1:14, 16-17; გამოცხ. 22:21.

III. მადლი – არის გამოვლინება სამერთიანი ღმერთისა მის განკაცებაში სამ ასპექტში: მამაში, ძეში და სულში – 2 კორ. 13:14; რიცხ. 6:22-27; ფსალ. 36:8-9:

ა. მადლი არის სამერთიანი ღმერთი თავის განკაცებაში, რომელიც რიგდება მორწმუნეებში მამის როგორც სათავის, ძის როგორც ელემენტის და სულის როგორც გამოყენების მეშვეობით – 2 კორ. 13:14:

1. მადლის სათავე, მადლის ელემენტი და მადლის გამოყენება მიეკუთვნება სამ პიროვნებას ღვთაებრივ სამებაში, რომელიც უნდა გახდეს ყველაფერი ჩვენთვის – მათე 28:19.
2. ღვთაებრივ დარიგებაში მადლს ეწოდება ღმერთის მადლი, ქრისტეს მადლი და მადლი, რომელიც ახასიათებს სულს – 1 კორ. 15:10; 2 კორ. 1:12; 8:1, 9; 9:14; 12:9; 13:14; ებრ. 10:29.

ბ. მადლი არის ღმერთის განკაცება, რომელიც გახდა ღმერთკაცი ღვთაებრიობითა და ადამიანობით, იცხოვრა ადამიანური ცხოვრებით, მოკვდა, აღდგა და შევიდა ამაღლებაში; ახალა ის არის მაცოცხლებელი სული, დამკვდირებული ჩვენში – 1 კორ. 15:45ბ; 6:17.

გ. მადლი არის სამერთიანი ღმერთი, გამზადებული და დასრულებული ჩვენთვის, რათა ჩვენ დავტკბეთ მისით – იოანე 1:14, 16-17; 1 პეტ. 5:10; 2 კორ. 13:14; ებრ. 10:29; 1 კორ. 15:10, 45ბ; გამოცხ. 22:21.

დ. რომ არ ყოფილიყო მომზადებული, სამერთიანი ღმერთი ვერ შეძლებდა, ყოფილიყო ჩვენთვის მადლი – იოანე 1:14; 1 კორ. 15:45ბ:
1. მამა განკაცებულია ძეში, ძე ხდება ნამდვილი როგორც სული, ხოლო სული შემოდის ჩვენში როგორც მადლი ჩვენი ტკბობისათვის – ებრ. 10:29.
2. გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთი არიგებს თავის თავს ჩვენში იმ მიზნით, რომ იყოს ჩვენი ხვედრი მადლის სახით, რათა ჩვენ დავტკბეთ მისით როგორც ყველაფრით მის ღვთაებრივ სამებაში – 2 კორ. 13:14.

IV. ჩვენმა ღმერთმა და მამამ „მადლი მოგვანიჭა ჩვენ თავის საყვარელ ძეში“ – ეფეს. 1:6ბ:

ა. ის, რომ ღმერთმა მადლი მოგვანიჭა ჩვენ, აღნიშნავს, რომ მან დაგვაყენა ჩვენ მადლის მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მისი მადლი და კეთილგანწყობა, ანუ დავტკბეთ ყველაფრით, რაც არის ჩვენთვის ღმერთი – მუხ. 6ბ:
1. ვინაიდან ჩვენ ვიმყოფებით მადლის მდგომარეობაში და გვაქვს შესაძლებლობა, გამოვიყენოთ მადლი, ღმერთი კმაყოფილია ჩვენით.
2. ღმერთი პოულობს სიამოვნებას ჩვენში, ჩვენ ბედნიერები ვართ მასში, და საბოლოოდ ხდება ურთიერთ ტკბობა: ჩვენ ვტკბებით მისით, ხოლო ის ტკბება ჩვენით.

ბ. საყვარელი ძე არის ღმერთის საყვარელი ძე, რომელშიც ღმერთი პოულობს სიამოვნებას – მათე 3:17; 17:5:
1. საყვარელ ძეში ჩვენ გვაქვს მადლი მონიჭებული, ანუ გავხდით ისინი, ვინც სარგებლობს ღმერთის კეთილგანწყობით და ვინც ანიჭებს ღმერთს კმაყოფილებას – ეფეს. 1:6ბ.
2. ამის წყალობით ჩვენ ვტკბებით ღმერთით, ხოლო ღმერთი ტკბება ჩვენით თავის მადლში თავის საყვარელ ძეში, თავის სიხარულში; მის საყვარელ ძეში ჩვენ ასევე ვხდებით მისი სიამოვნება – მათე 3:17; 17:5.

V. ეფეს. 2:8-ში პავლე ამბობს: „მადლით ხართ გადარჩენილნი რწმენის მეშვეობით, და ეს არ არის თქვენგან – ეს არის ღმერთის ნიჭი“:

ა. მადლი არის ღმერთი, რომელიც რიგდება ჩვენში, ამიტომ გადარჩენა მადლით – არის გადარჩენა გამზადებული სამერთიანი ღმერთის დარიგების მეშვეობით ჩვენში.

ბ. ეფესელთა მიმართ წერილში იხსნება, რომ გადამრჩენელი მადლი არის თვით ღმერთი ქრისტეში, ჩანერგილი ჩვენს არსებაში, ამიტომ მადლით გადარჩენა – ეს სინამდვილეში არის სამერთიანი ღმერთის ჩვენში დარიგების წყალობით გადარჩენა.

გ. როდესაც გამზადებული სამერთიანი ღმერთი რიგდება ჩვენში, ის ხდება გადამრჩენელი მადლი ჩვენთვის ჩვენს განცდაში – 2 კორ. 13:14.

VI. ღმერთმა წინასწარგანგვსაზღვრა ჩვენ ძეობისათვის „თავისი მადლის ქების დიდებისათვის“ – ეფეს. 1:5-6ა:

ა. დიდება არის ღმერთი გამოხატული (გამ. 40:34); გამოთქმა „თავისი მადლის დიდება“ გულისხმობს, რომ ღმერთის მადლი, ანუ თვითონ ღმერთი როგორც ჩვენი ტკბობა, გამოხატავს ღმერთს.

ბ. ღმერთმა წინასწარგანგვსაზღვრა ჩვენ ძეობისათვის მისი გამოხატულების დიდებისათვის მის მადლში, ანუ მისი მადლის დიდების ქებისათვის – ეფეს. 1:5-6ა.

VII. ღმერთი გამოავლენს „მომავალ საუკუნეებში თავისი მადლის უსაზღვრო დიდებას სიკეთეში ჩვენთან მიმართებით ქრისტე იესოში“ – 2:7:

ა. თავის სიკეთეში ჩვენ მიმართ ქრისტე იესოში ღმერთმა გადაგვარჩინა ჩვენ თავისი მადლით; სწორედ ასეთ სიკეთეში ჩვენ გვეძლევა ღმერთის მადლი – მუხ. 7; რომ. 2:4.

ბ. ღმერთის მადლის სიმდიდრე – არის თვით ღმერთის სიმდიდრე, რომელიც რიგდება ჩვენში ჩვენი განცდისათვის და ტკბობისათვის; ღმერთის მადლის სიმდიდრემ არ იცის საზღვრები.

გ. მომავალ საუკუნეებში – ათასწლეულსა და მარადისობაში – ღმერთი გამოავლენს მთელი სამყაროსათვის თავისი მადლის უსაზღვრო სიმდიდრეს – ეფეს. 2:7.

© Living Stream Ministry, 2022